

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Centre For Kartvelian Studies

**THE KARTVELOLOGIST**  
Journal of Georgian Studies

**29**

2021-2022

Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

## ქართველოლოგი

29



## საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი“ წელიწადში ერთხელ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (N1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი – „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“. ჟურნალის დამაარსებელია ელგუჯა ხინთიბიძე.

## სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილენი ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემეტიკის პოპულარიზატორები.

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; დობორჯინიძე ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო (ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარ (შუა საუკუნეების კვლევები) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურდაია გაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარი-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

## სამეცნიერო რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ჟურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს ახორციელებს ჟურნალის სარედაქციო ჯგუფი:

მანანა რუსიევილი – ინგლისური ტექსტის რედ.  
თამარ მელიქიძე – ტექსტის რედ.  
სოფიო გულიაშვილი – ქართული ტექსტის რედ.

ცირა ვარდოსანიძე – კორექტორი  
კონსტანტინე ლომიძე – კორექტორი  
ირმა მაკარაძე – ქართული ტექსტის რედ.

*ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საგამომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.*

© ქართველოლოგი  
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი  
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ  
0179, თბილისი, საქართველო  
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com;  
kartvelologist@gmail.com  
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge;  
kartvelologi.openjournal.ge

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023  
ISSN 1512-1186

*The Kartvelologist* is a bilingual (Georgian and English) peer-reviewed, academic journal, covering all spheres of Kartvelological (Georgian) scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularization of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.

*The Kartvelologist* issues both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the "Centre for Kartvelian Studies" of Tbilisi State University, financially supported by the "Fund of the Kartvelological School".

#### Editorial Board:

The foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizers in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Bakhtadze, Michael (History) - Georgia; Beynen, Bert (Rustvelology) - Philadelphia, USA; Boeder, Winfried (Linguistics) - Germany; Chotiwary-Jünger, Steffi (Georgian literature) - Germany; Doborjginidze, Nino (Linguistics) - Georgia; Enoch, Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) - Israel; Fähnrich, Heinz (Georgian linguistics) - Germany; Kojima, Iasuhiro (Kartvelian languages) - Japan; Kudava, Buba (Study of Manuscripts) - Georgia; Licheli, Vakhtang (Archaeology) - Georgia; Magarotto, Luigi (Georgian literature) - Italy; Melikishvili, Damana (The Georgian language) - Georgia; Nikoleishvili, Avtandil (Georgian literature) - Georgia; Nocun, Przemyslaw (Archaeology) - Poland; Outtier, Bernard (Medieval Studies) - France; Ratiani, Irma (Literary criticism) - Georgia; Shurgaia, Gaga (Georgian literature) - Italy; Sikharulidze, Ketevan (Folklore) - Georgia; Tuite, Kevin (Ethnography and folklore) - Canada; Ketevan Khutsishvili (Ethnography) - Georgia; Manana Rusieshvili (English literature) - Georgia.

Each issue of the journal is prepared and published by the Editorial Staff:

#### **Scientific Editor** - Elguja Khintibidze

English text editor - Manana Rusieshvili  
Text editor - Tamar Melikidze  
Georgian text editor - Sophio Guliasvili

Proofreader - Tsira Vardosanidze  
Georgian text editor: Irma Makaradze  
Proofreader - Konstantine Lomidze

*In some cases the Editorial Board, the staff and the reviewers do not share the stylistic peculiarities and the views expressed in the papers published.*

© Kartvelologist  
Fund for Kartvelian Studies,  
0179, Tbilisi, Georgia  
Email: kartvcentre@hotmail.com;  
kartvelologist@gmail.com  
Website: kartvelologi.tsu.ge; kartvelologi.openjournal.ge

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2023

# სარჩევი

## Contents

### უცხოელ მეცნიერთა ქართველოლოგიური კვლევები FOREIGN SCHOLARS ON GEORGIAN STUDIES

#### **Christian Høgel**

*Euthymios the Athonite, Greek-Georgian*

*and Georgian-Greek Translator - and Metaphrast?* ..... 11

#### **კრისტიან ჰეგელი**

*ეფთვიმე ათონელი, ბერძნულიდან ქართულად და*

*ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?* ..... 29

### კვლევები: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები STUDIES: GEORGIAN-EUROPEAN LITERARY RELATIONS

#### **ელგუჯა ხინტიბიძე**

*დიდი სიახლე ეფთვიმე ათონელის*

*მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ* ..... 49

#### **Elguja Khintibidze**

*Great News about the Translation Work of Euthymios the Athonite* ..... 75

#### **ირმა მაკარაძე**

*„ვარლამ და იოასაფის ისტორიის“ წყაროთა საკითხისათვის* ..... 99

**Irma Makaradze**

*For the Issue of the Sources of „ The Story of Barlaam and Ioasaph“* ..... 109

**ლუდმილა შრიციკი**

*უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების უცნობი მასალები:  
ბორის ტენის გზა ჩახრუხადის „თამარიანამდე“* ..... 119

**Ludmila Grytsik**

*Unknown Archival Materials on Ukrainian-Georgian Literary Contacts:  
The Way of Borys Ten to Chakhrukhadze* ..... 133

**Людмила Грицик**

*БОРИС ТЕН У КОНТЕКСТІ УКРАЇНСЬКО-ГРУЗИНСЬКИХ ЛІТЕРАТУРНИХ ВІДНОСИН ХХ СТОЛІТТЯ:  
ДО ПИТАННЯ ПРО УКРАЇНСЬКОГО «ТАМАРІАНИ» ЧАХРУХАДЗЕ* ..... 135

**იზა ჩანტლაძე, მარიკა ოძელი**

*ევროპულ დიპლომატ-მკვლევართა (XVIII-XIX სს.) ღვაწლი კავკასიოლოგიაში...* 147

**Iza Chantladze, Marika Odzeli**

*European Diplomat-researchers’  
(18<sup>th</sup>-19<sup>th</sup> cc.) Contribution to Caucasian Studies* ..... 165

**ნათია სიხარულიძე**

*ლიტერატურული პარალელები: გალაკტიონ ტაბიძე და ლუის დე კამოენსი ...* 181

**Natia Sikharulidze**

*Literary Parallels: Galaktion Tabidze and Luis de Camoens* ..... 195

**კვლევები: ენათმეცნიერება**

**STUDIES: LINGUISTICS**

**კონსტანტინე ლერნერი**

ქართული კერა - ივრითული kir // kira;

ქართული ქურა - ივრითული kur - აქადური quru ..... 207

**Constantine B. Lerner**

Georgian კერა kera - Hebrew כִּיר kir "hearth"

Georgian ქურა kura - Hebrew כּוּר kur "furnace" ..... 211

**კვლევები: არქეოლოგია**

**STUDIES: ARCHAEOLOGY**

**ნინო ქობალია**

კოლხეთის უძველესი ოქრო - კულტურული წინაპირობა და

საერთაშორისო კონტექსტი ..... 215

**Nino Kobalia**

*The Oldest Colchian Gold - Cultural Background and International Context* ..... 227

კვლევები: რუსთველოლოგია

RUSTAVELI STUDIES

**ინგა სანიკიძე**

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტმესირებული სტრიქონის გააზრებისათვის..... 237

**Inga Sanikidze**

*Towards Understanding Tmesis in the Line of*

„*The Knight in the Panther’s Skin*“ ..... 251

**კოტე ლომიძე**

„ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლისტური რეცეფციის ერთი შემთხვევა ..... 265

**Kote Lomidze**

*One Occurrence of the Symbolic Reception of*

„*The Man in the Panther’s Skin*“ .....273



კვლევები: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები

## დიდი სიახლე ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ\*

### ელგუჯა ხინთიბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე:** წინამდებარე გამოკვლევაში განხილულია დანიელი ბიზანტინისტის ქრისტინა ჰეგელის სტატია “ეფთვიმე ათონელი, ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?”, გამოქვეყნებული პარიზში, 2019 წელს. სტატია ქართველოლოგიური მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა. მასში შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ეფთვიმე ათონელის შემოქმედება ბიზანტიური მწერლობის პოზიციიდანაა შეფასებული და ახლებური ნიუანსებია გამოვლენილი ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. გამოკვლევის ავტორი წარმოადგენს ახალ თვალსაზრისს ეფთვიმე ათონელის ბარლაამ-რომანის ავტორობის პრობლემასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე: იოვანე ათონელის ანდერძი, ბარლაამ-რომანის დათარიღება, თხზულების ლემის იოანე – წმინდა საბას მონასტრის ბერი.

**საკვანძო სიტყვები:** ეფთვიმე ათონელი; იოვანე ათონელის ანდერძი; ბარლაამის ლემის იოვანე; ქრისტინა ჰეგელი

---

\* კვლევა განხორციელებულია „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართება“ (FR-21-2001) – ფარგლებში.

ჟურნალ ქართველოლოგიის წინამდებარე ნომერში ვაქვეყნებთ დანიელი ბიზანტინისტის ქრისტიან ჰეგელის სტატიას „ეფთვიმე ათონელი, ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?“ [17]. ქ. ჰეგელი ბიზანტინისტთათვის ცნობილი ავტორია. საგანგებოდ აღსანიშნავია მისი მონოგრაფია სვიმეონ მეტაფრასტზე – *სვიმეონ მეტაფრასტი: გადაძუშავება, კანონიზაცია* [16]. სტატია, რომელსაც ვაქვეყნებთ, ეყრდნობა შუასაუკუნეების ევროპის ხალხთა შორის უაღრესად პოპულარული თხზულების ვარლამ და იოასაფის ისტორიის (ანუ ბარლამ-რომანის) შესწავლის უახლეს კვლევებს და ქართველოლოგიური მეცნიერებისთვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. მასში შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის – ეფთვიმე ათონელის – შემოქმედება ბიზანტიური მწერლობის პოზიციიდანაა შეფასებული და ახლებურ ნიუანსებს გამოავლენს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ავტორი ეყრდნობა და აანალიზებს ბიზანტინისტთა გერმანული სკოლის უკანასკნელი ათწლეულების უაღრესად პროდუქტიულ ნაშრომებს ბარლამ-რომანის წყაროების, ლიტერატურული სტილის, ბერძნული ხელნაწერების შესწავლისა და ავტორის ვინაობის შესახებ. ამ ნაშრომთაგან საგანგებოდ აღსანიშნავია: რობერტ ფოლკის ფუნდამენტური ორტომეული *სულისმარგებელი ისტორია ვარლამისა და იოასაფისა*, რომელიც გამოქვეყნებულია იოანე დამასკელის შრომების VI ტომში ორ მონაკვეთად შეიერთნის საბატოს ბიზანტიური ინსტიტუტის მიერ [28; 29]. ფოლკი ორივე ტომის სათაურს დაურთავს ფრჩხილებში ჩასმულ ლათინურ სიტყვას *Spuria* (საეჭვო, სიცრუე), რაც იმაზე მიუთითებს, რომ არასწორია ამ თხზულების ავტორად იოანე დამასკელის მიჩნევა. მეორე ნაშრომი, რომელსაც ეყრდნობა ჰეგელის სტატია, არის იოანის გროსმანის (Ioannis Grossmann) გამოკვლევა ბარლამის სვიმეონ მეტაფრასტის მენოლოგიონთან მიმართების შესახებ [14]. გროსმანი უარყოფს ფოლკის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ წმინდანთა ცხოვრების სვიმონისეული მეტაფრასტული კრებული (მენოლოგიონი) იყენებს ეფთვიმეს თარგმნილ ბალავარიანს და მიიჩნევს, რომ ტექსტთა ერთმანეთთან მიმართება საპირისპიროს მეტყველებს.

ქ. ჰეგელის სტატიაში ნათლადაა გაცხადებული ათონის ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურული სკოლის ღვაწლი და დამსახურება საკუთრივ ბიზანტიური მწერლობისა და ბერძნული საეკლესიო ცხოვრების წინაშე. ათონის ქართველ მოღვაწეთა და, უპირველეს ყოვლისა, ეფთვიმეს ღვაწლი გამოვლინდა არა მხოლოდ იმით, რომ ქართულ მასალაზე დაყრდნობით მის მიერ შეიქმნა რენესანსის უშუალოდ წინარე ეპოქის ევროპის ხალხთა შორის უაღრე-

სად პოპულარული თხზულება, არამედ გამოვლინდა იმითაც, რომ ეფთვიმეს და ათონელ ქართველთა დამსახურებაა თვით ამ თხზულებისა და, მასთან ერთად, ბერძნული ეკლესიის უძვირფასესი კრებულის სვიმეონ ლოლოთეცის *მენოლოგიონის* გამრავლება და გადარჩენა. X საუკუნის 80-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორის ბასილი მეორის დროს სვიმეონს სამეფო კარი აღარ წყალობდა და მისი *მენოლოგიონი* იზიარებდა შემქმნელის ხვედრს. XI საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით ივირონი ერთადერთი მონასტერი ჩანს, რომელიც მის ხელნაწერებს ინახავდა და ამრავლებდა [17, გვ. 359]. ათონის სამონასტრო კორპორაცია იყო ის ცენტრი, რომელშიც ამ ორი თხზულების (*მენოლოგიონისა* და *ბარლაამის*) ხელნაწერები ინტენსიურად მრავლდებოდა. ამ კორპორაციის სულიერ მოძღვრად, ეპიტროფად კი 1001 წლიდან ქართველები იყვნენ – ორიოდვე წელს იოვანე მთაწმიდელი და შემდეგ, გარდაცვალებამდე, 1028 წლამდე, ეფთვიმე. ქ. ჰეგელის შეფასებით, „ეფთვიმეს ლიტერატურული სიდიადე გავლენას ახდენდა... ზოგადად ბიზანტიის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე“ [17, გვ. 364]. დანიელი მკვლევრის დაკვირვებით, ეფთვიმეს დამსახურება ბიზანტიური მეტაფრასტიკის წინაშე მხოლოდ ის კი არ არის, რომ მისი ხელმძღვანელობით ათონის საღვთისმეტყველო ცენტრმა გადაარჩინა და გაამრავლა მეტაფრასული თხზულებანი, არამედ ისიც, რომ ამ თხზულებებს მან გაუხსნა გზა არაბერძნული, კერძოდ, ქართული ღვთისმსახურებისაკენ. ეფთვიმემ სვიმეონის *მენოლოგიონისეული* რამდენიმე ათეული თხზულება თარგმნა ქართულად. უფრო მეტიც, მისი, როგორც მწერლის, შემოქმედებით-მხატვრული სტილი არის მეტაფრასული. ამავე დროს, მას მეტაფრასტიკის თავისებურად განსხვავებული სტილი აქვს სვიმეონისგან განსხვავებით. ეფთვიმე მეტაფრასულ თხზულებათა და წინდა მამათა ნაწერების ქრისტოლოგიური ფრაგმენტების ერთად დალაგებით მთლიან მოზაიკას ქმნის და საფუძველს უყრის თავისებურ სამწერლობო სტილს, რაც XII საუკუნეში ბერძნულ ენაზე შექმნილ სხვა აგიოგრაფიულ თხზულებებშიც გამოვლინდა [17, გვ. 364].

ქართველოლოგიისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა ეფთვიმე ათონელის, როგორც ბიზანტიური აგიოგრაფიული თხზულების ავტორის, მხატვრული სტილის გამოვლენა და მითითება მის, როგორც ორგანიზატორის, დამსახურებაზე ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის წინაშე. ეს სიახლე ემყარება უმთავრესად ევროპულ ბიზანტინისტიკაში ბერძნული *ბარლაამის* სვიმეონ მეტაფრასტის *მენოლოგიონთან* შედარებით გამოვლენილ ფაქტებს. რ. ფოლკი ზემოთ მითითებულ კაპიტალურ ორტომეულში აქვეყნებს *ბარლაამ-რომანის* ტექსტის აკადემიურ გამოცემას და ამასთან ერთად, დიგიტალური სიზუსტით გამოვლენილ პა-

რალელებს ეფთვიმესეულ ბარლაამსა და სვიმეონ ლოლოთეუტის მენოლოგიონს შორის. იგი ამის საფუძველზე აყალიბებს თავის თვალსაზრისს ბარლაამის შექმნის კონცეპტუალურ საკითხზე: თხზულება შექმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ ქართული ბალავარიანის თარგმნისა და გადამუშავების გზით 980-იანი წლების დასაწყისისათვის. ეფთვიმეს თარგმანი გამოყენებულია სვიმეონ მეტაფრასტის მიერ მენოლოგიონზე მუშაობისას. ბარლაამის თავდაპირველი რედაქცია შემდგომში ეფთვიმეს მიერაა გადამუშავებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ი. გროსმანი ფოლკის მიერ გამოქვეყნებულ ბარლაამის ცალკეული პასაჟებისა და წმინდანთა ცხოვრების ადრინდელი და სვიმეონისეული მეტაფრასული რედაქციების პარალელური ადგილების განხილვით სხვა დასკვნამდე მიდის: სვიმეონის მენოლოგიონი არის ეფთვიმე ათონელის ქართულიდან თარგმნილი ბარლაამის წყარო. ეფთვიმეს თარგმანი კი შემდგომში სხვა უცნობი ავტორის მიერაა გადამუშავებული. ემყარება რა ამ ნაშრომებს, ჰეგელი ბარლაამ-რომანის შექმნაზე თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებებსაც იმორჩება. ამ თვალსაზრისთაგან ზოგიერთი მათგანი განხილულია წინამდებარე ნაშრომში.

ქ. ჰეგელი შეიერნის სააბატოს ბიზანტიური ინსტიტუტის, კონკრეტულად კი, რობერტ ფოლკის მნიშვნელოვან ღვაწლად მიიჩნევს იმას, რომ მის მიერ და მისი რედაქციით გამოცემულმა შრომებმა წერტილი დაუსვა ევროპელ ბიზანტინოლოგთა საუკუნოვან ეჭვს ეფთვიმე ათონელის ავტორობის თაობაზე. სტატის ავტორის სიტყვით, ფოლკმა გააქარწყლა ევროპელ ბიზანტინისტთა საპირისპირო მოსაზრებები, „რომელთაგან ზოგი მათგანი გაზიარებული იყო საოცარი სურვილით – არ მიეღოთ ქართული წყაროებიდან მომდინარე აშკარა და დამაჯერებელი ცნობები“ [17, გვ. 354]. ჰეგელის საინტერესო შენიშვნას მე გავავრცელებდი ბიზანტინისტთა უკანასკნელი პერიოდის ნაშრომთა მიმართებაზეც ამ საკითხზე ქართველოლოგთა მნიშვნელოვანი ნარკვევებისადმი. მე იმას ვგულისხმობ, რომ ვარლაამ და იოასაფის პრობლემატიკაზე ბიზანტინისტთა უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვან კვლევებში გამოვლენილი ნოვატორული დასკვნები ხშირ შემთხვევაში, როგორც უშუალოდ, ასევე კონკრეტული პრობლემის დამუშავების მეთოდით, თანხვედრა ქართველოლოგთა კვლევებს. ეს უკანასკნელნი კი არა მარტო ქართულ ენაზეა გამოქვეყნებული, არამედ ევროპაშიც და წაკითხულია ბიზანტინისტთა საერთაშორისო ფორუმებზე. უფრო მეტიც, ბიზანტინისტთა მნიშვნელოვანი კვლევების ზოგი საეჭვო თუ საკამათო თეზაც მიმართებას ამყარებს, ან შეიძლება სათავესაც იღებდეს, ქართველოლოგთა მიერ ჰიპოთეტურად გამოთქმული ვარაუდებიდან. მხოლოდ ერთ შემთხვევაზე შევჩერდები.

რ. ფოლკის თვალსაზრისი, რომ ქართული ბალავარიანის ეფთვიმესეულ ბერძნულ თარგმანს სვიმეონ მეტაფრასტი გამოიყენებდა, ვარაუდის სახით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო გამოთქმული [25, გვ. 253-293], თუმცა, მაშინაც არსებობდა საპირისპირო შეხედულება. ი. გროსმანის პოზიცია, რომ ეფთვიმეს თარგმანის შემდგომი გადამუშავება სხვის მიერ იქნებოდა შესრულებული, ვარაუდის სახით უკვე არსებობდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ გერმანელ ბიზანტინისტთა ამ თვალსაზრისების უმთავრესი საყრდენი მაინც ქართველ მეცნიერთა და საზოგადოდ ქართველოლოგთა მიერ გამოთქმული ვარაუდები უნდა იყოს.

*ვარლაამ და იოასაფის* ავტორობის საკითხზე ქართველ მეცნიერთა მსჯელობა გააქტიურდა ფ. დიოლგერის ცნობილი მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდგომ. ევროპელ ბიზანტინისტთა კვლევებში აშკარად ჩანდა უნდობლობა ქართული პირველწყაროებისადმი (ამჯერად ვგულისხმობ გიორგი მთაწმინდელის ცნობას ეფთვიმეს მიერ ბალავარიანის ქართულიდან ბერძნულად თარგმანზე) და ბერძნული ბარლაამის ავტორად ეფთვიმეს, როგორც არაბერძნულენოვანი მწერლის, შესაფერისობისადმი. ქართული მწერლობისა და კერძოდ, ეფთვიმეს შემოქმედების ზოტენბერგისეულ უცოდინრობაზე რომ არ შევჩერდეთ, საკმარისია თვით დიოლგერის სიტყვები გავიხსენოთ: „ჩვენ გავბედავთ, გადაჭრით ვთქვათ, რომ 650 წლიდან 1085 წლამდე, იმ დროში, რომელიც უკიდურესი საზღვრებია ჩვენი ავტორის (*ბარლაამის* ავტორის – ე. ხ.) მოსათავსებლად, არ შეიძლება ყოფილიყო სხვა ბერძენი თეოლოგი, გარდა იოანე დამასკელისა, რომლის *ვარლაამ და იოასაფის* ავტორად მიჩნევა შეიძლებოდა“ [13, გვ. 64]. ამ ეჭვს მოგვიანებით კიდევ უფრო აკონკრეტებს მეორე დიდი გერმანელი ბიზანტინისტი კ. ბეკი: მისი აზრით, ავტორის განათლების დონის საფუძველზე... *ვარლაამ და იოასაფის* გადამმუშავებლად მხოლოდ იოანე დამასკელის საკითხი დგება [11, გვ. 37]. ბუნებრივია, რომ ამ პოლემიკაში ქართველ მეცნიერთა მცდელობა, პირველ რიგში, ქართული წყაროების (კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის) უნდობლობის გაქარწყლებისა და ეფთვიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად თარგმანის ჭეშმარიტების მტკიცება იქნებოდა. ამას თან ერთვის იმდროინდელ ევროპულ და რუსულ ბიზანტინისტიკაში მოარული საკმაოდ ზერეულე აზრები ბალავარიანის ამბის აღმოსავლეთში ცირკულირებაზე (ვარაუდები ძველ სირიულ და არაბულ ქრისტიანულ ვერსიებზე). ამიტომაც, რომ ბერძნული ბარლაამის შექმნაზე იმ პერიოდის ქართველოლოგიაში არსებული ყველა მოსაზრება კრიტიკული განხილვის გარეშე ერთნაირი ნდობით მისაღები არ უნდა იყოს.

ევროპულ ბიზანტინისტიკაში გასული საუკუნის 50-იან წლებში ვარლაამ და იოასაფის ავტორობის გააქტიურებულ პრობლემას ქართველ მეცნიერთაგან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ეფთვიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და საზოგადოდ მეტაფრასტიკის დიდი მკვლევარი კორნელი კეკელიძე (1956 წელი). მისი ნარკვევი „ბალავარიანის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“ მალევე გამოქვეყნდა, ხოლო შემდგომში შევიდა მისივე ეტიუდების VI ტომში [4, გვ. 41-71] და ძირითადი დასკვნები უცვლელად გადავიდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში [5, გვ. 189-190]: „უტყუარი ფაქტია, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ბალავარიანი... მას უთარგმნია არა A რედაქცია ქართული რომანის (სიბრძნე ბალავარისი - ე. ხ.), არამედ B (წმინდა იოდასაფის ცხოვრება - ე. ხ.)“. „B რედაქცია მომდინარეობს არაბული ქრისტიანული რედაქციიდან, რომელიც შედგენილი ჩანს ფალაურიდან მომდინარე არაქრისტიანული არაბული რედაქციის ნიადაგზე.“ „ბერძნული რედაქცია არაა დაწერილი იოანე დამასკელის მიერ, არცთუ ექვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის იგი.“ „ბერძნული რედაქცია არის ე.წ. მეტაფრასული რედაქცია. ის შედგენილია ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანის ნიადაგზე, სხვა წყაროების გამოყენებითაც. ამ მეტაფრასტული რედაქციის ავტორი უნდა იყოს თვით სვიმეონ მეტაფრასტი, თანამედროვე ექვთიმე ათონელისა.“

ბარლაამის მეტაფრასტულ გადამუშავებასთან სვიმეონ მეტაფრასტის მიმართების თვალსაზრისი ევროპულ ქართველოლოგთა მიერ თავისებური მოდიფიცირებით გავრცელდა. დ. ლანგი, კ. კეკელიძის ამ დასკვნების საფუძველზე, ვარაუდობს, რომ ქართული ბალავარიანის ეფთვიმე ათონელისეული ბერძნული თარგმანი, რომელიც შესაძლებელია თვით სვიმეონ მეტაფრასტის საჭიროებისათვის ყოფილიყო შესრულებული, მოსალოდნელია შემდგომში სვიმეონ მეტაფრასტის რომელიმე მოწაფის მიერ იყოს გამეტაფრასებული [22, გვ. XXXII].

ასე რომ, გერმანელ ბიზანტინისტთა შორის საკამათო ორივე თვალსაზრისი (ეფთვიმეს თარგმნილ ბალავარიანს იყენებდა სვიმეონ მეტაფრასტი; ეფთვიმეს თარგმანი შემდგომში სხვის მიერაა გამეტაფრასებული) გამოთქმული იყო სხვადასხვაგვარად ქართველოლოგთა ჰიპოთეზურ ვარაუდებად. ამგვარი ვარაუდები ქართველ მკვლევართა ნაწერებში არცთუ იშვიათად მკაცრი არგუმენტებით ჩამოყალიბებული კი არა, არამედ გარკვეული მიზანდასახულობით მოაზრებული თეორიული შესაძლებლობებია. ბიზანტინისტთა კვლევებში კი ჩანს მათზე დაყრდნობა, რასაც ასახვა უპოვია კ. ჰეგელის სტატიაშიც. შევეცდეთ იორიოდე შემთხვევის კომენტირებას.

**იოვანე ათონელის ანდერძი.** ბარლაამის პრობლემატიკასთან მიმართებით როგორც ქართველოლოგთა, ასევე ბიზანტინოლოგთა შრომებში ხშირად მოიხსენიება ეფთვიმეს თარგმანების შესახებ მამამისის იოვანე მთაწმიდელის ანდერძი. ამ ანდერძის ქართველ მეცნიერთა ადრინდელი კვლევებით სარწმუნოდ მიჩნეულ ვერსიაში ბალავარი არ იხსენიება. ამიტომაც, იმის სამტკიცებლად, რომ ეფთვიმეს ბალავარიანი XI ს-მდე არ უთარგმნია, ზოგიერთი ბიზანტინისტის მიერ ეს ანდერძი იყო მოხმობილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ანდერძი ყველა ხელნაწერის ვარიანტებზე დაყრდნობით გამოცემულია [8], რედაქციათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, იგი, ჩემი აზრით, საგანგებო კვლევას საჭიროებს. ანდერძი დართულია იოვანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ეფთვიმესეულ თარგმანზე. იგი ჩვენამდე მოღწეულია 9 ხელნაწერით, რომლებიც ერთმანეთს შორის სხვაობას უჩვენებენ რედაქციული თვალსაზრისით. ანდერძში ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა – იოვანე ჩამოთვლის მისი შვილის თარგმნილ წიგნებს. ერთი ხელნაწერის მიხედვით (ქუთაისის ისტორიული მუზეუმის N20), ამ ჩამონათვალში შეტანილია „თარგმანებად ბალავარისი“. დანარჩენ ხელნაწერებში ეს თხზულება არ ჩანს. ამ კონტექსტში იოვანე საუბრობს ეფთვიმეს ღვაწლზე ბერძნულიდან ქართულად საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნაზე: “მე გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთად იოვანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანად ქართლისად წიგნთაგან და დიდი ხარკებად და მოღუაწებად ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძნულითა სრულად და გამოთარგმანებად წარჰვმართე წიგნთა ბერძნულისაგან ქართულად“ [9, გვ. 339]. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ბუნებრივია იმის ვარაუდი, რომ იოვანე ჩამოთვლის ეფთვიმეს მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ წიგნებს, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ რედაქციის მიმართ, რომელშიც “თარგმანებად ბალავარისიცაა” დასახელებული (ქუთ. N20). დიოლგერი ენდობოდა რა ამ რედაქციას, თავისი ვარაუდის სამტკიცებლად იმოწმებდა: ეფთვიმემ ბალავარი ბერძნულიდან თარგმნა ქართულად [13, გვ. 37]. ბარლაამ-რომანის სხვა მკვლევრები უპირატესობას ანიჭებენ და სანდოდ მიიჩნევენ ანდერძის იმ რედაქციას, რომელიც დანარჩენ ხელნაწერებში იკითხება: კ. კეკელიძე [5, გვ. 188], პ. პეეტერსი [24, გვ. 286] და სხვები. ამიტომ იყო მიჩნეული, რომ ეფთვიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად თარგმნაზე მინიშნება ქართულ წყაროებში XI ს-მდე არ იყო დადასტურებული. შედარებით თანამედროვე ევროპელი ბიზანტინისტები, რომლებიც იმ თვალსაზრისს ემხრობიან, რომ ბარლაამი ეფთვიმეს მიერ X ს-შია თარგმნილი, იოვა-

ნეს ანდერძში მის მოუხსენიებლობას იმით ხსნიან, რომ ეფთვიმეს ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი თხზულება ამ ნუსხაში ვერ მოხვდებოდა [17, გვ. 357]. პირადად მე იმას ვვარაუდობდი, რომ იოვანეს ანდერძის ჩამონათვალი არ უნდა გავიაზროთ იმგვარად, რომ იგი ეფთვიმეს მიერ მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ წიგნებს შეიცავს. ეს აზრი ანდერძში კატეგორიულად არაა გამოკვეთილი. ამდენად, ამ ჩამონათვალში ბალავარის დასახელებას იოვანესეულად მივიჩნევდი [20, გვ. 281]. ამჟერად ამ ვარაუდის არგუმენტირება მინდა წარმოვადგინო.

იოვანეს ანდერძის ის რედაქცია ეფთვიმეს თხზულებათა ნუსხაში მეხუთე ადგილას ბალავარიანს („თარგმანებად ბალავარისი“) რომ მოიხსენიებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში (ქუთ. N20). ხელნაწერი, რომელიც ადრე გელათის მონასტრის კუთვნილება ყოფილა, თარიღიანია, გადაწერილია 1048 წელს მანგლისში. გადამწერი – გაბრიელი, დამკვეთი – ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი [7, გვ. 95]. ამ ანდერძის სხვა რედაქცია, რომელიც ჩამონათვალში ბალავარს არ მოიხსენიებს, 8 ხელნაწერშია დაცული, მათგან რამდენიმე XI საუკუნისაა. ორი კი ეფთვიმეს სიცოცხლეშია გადაწერილი ათონზე. კერძოდ, თარიღიანი Ath. 13 (1008 წ.) და Ath. 10, დათარიღებული 1002 წლით [9, გვ. 97]. დასკვნა, რომელიც ამ ფაქტებიდან გამოიტანეს, თითქოს ბუნებრივია: იოვანესეულია ის რედაქცია, რომელიც ბალავარიანს არ ახსენებს. იგი მრავალი და უფრო ძველი ხელნაწერებითაა მოღწეული და კონტექსტის მიხედვით ამ ჩამონათვალში ქართულიდან ბერძნულად თარგმნილი თხზულება არ უნდა იყოს შეტანილი.

ჩემს თვალსაზრისს რომ თავდაპირველი, ანუ იოვანესეული ის ჩამონათვალია, რომელშიც ბალავარიანი მოიხსენიება, შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით ვაყალიბებ:

1. ანდერძში კატეგორიულად არ იკითხება, რომ იოვანე ჩამოთვლის ეფთვიმეს მიერ მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ წიგნებს. როგორც ზემოთ დავიმოწმე, იოვანე წერს: „შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძნულითა სრულად და გამოთარგმანებად წარჰკმარეთე წიგნთა ბერძნულისაგან ქართულად“, და იქვე აგრძელებს: „და აღიწერნეს ჩუენ მიერ სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა ძლიერებითა ცხოველისმყოფელისა პატრონისა ჯუარისადათა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა და ყოველთა წმინდათადათა წიგნნი რაოდენიცა უძლეთ წერად“ [12, გვ. 340]. ამას მოსდევს ჩამონათვალი, რომელშიც, ქუთ. N20 ხელნაწერის მიხედვით, მეხუთე ადგილას იკითხება „თარგმანებად ბალავარისი“. მართალია, კონტექსტი თით-



ქოს იმას მიანიშნებს, რომ ჩამონათვალში მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი წიგნები უნდა იყოს, მაგრამ იოანეს სიტყვები „აღიწერნეს ჩვენ მიერ“ სავარაუდოა იმას მიუთითებდეს, რომ მათ მიერ (ეფთვიმესა და იოანეს მიერ) დაიწერა შემდეგი წიგნები. „აღიწერნეს ჩვენ მიერ“ ნიშნავს: დაიწერა ჩვენ მიერ. ამავე მნიშვნელობითაა სიტყვა „აღწერა“ იმავე ანდერძის სხვა მონაკვეთში: „აწ გვედრებით ყოველთა, რომელთა მიიწიოს ესე წიგნი, რომელთაცა აღსწეროთ და რომელნიცა იკითხვიდეთ და რომელნიცა ისმენდეთ ჳსენებულმცა ვართ ლოცვათა შინა თქუწნთა გლახაკი ესე იოვანე შვილისა ჩემისა ეფთვიმეს თანა, რათა ლოცვისა თქუწნითა შეგვიწყალნეს უფალმან“ [7, გვ. 97].

2. ამ ანდერძს იოვანე ღრმად ხანდაზმული და უძლური წერს, რის შესახებ თავადაც არაერთგზის მიუთითებს. ტექსტიც არ არის მწყობრი, საღვთისმეტყველო და ცხოვრებისეული პასაჟები ერთმანეთზე გადაბმულია არაორგანიზებულად, იმდენად, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ტექსტს ეფთვიმესა და იოვანეს ანდერძების არათანმიმდევრულ გადაბმად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, ანდერძის სწორედ ის მონაკვეთი, რომელიც ამჟღავნებს ჩვენი ინტერესის საგანია, იმაზე მეტყველებს, რომ იოვანე საკუთარ ღვაწლზე, ანუ საკუთარ დამსახურებაზე (ქვეყნის მიმართ მის მიერ გაწეულ სამსახურზე) მოგვითხრობს და ამაზე თავადაც მიუთითებს: „ნაკლულევან იყო ქუეყანად ქართლისად წიგნთაგან და დიდი ხარკებად და მოღუაწებად ვაჩუენე“ და ჩამოთვლის თავის დამსახურებებს ამ მიმართულებით: „შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძნულითა სრულად“, წარვმართე იგი „გამოთარგმანებად... წიგნთა ბერძნულისაგან ქართულად“, ჩვენ მიერ დაიწერა წიგნები, რამდენიცა შევძელით („აღიწერნეს ჩვენ მიერ... წიგნნი, რაოდენიცა უძლეთ წერად“ (Ath. 10; 7, გვ. 96). ასე რომ, ანდერძის თანახმად, სხვადასხვა ფაქტებია: იოვანეს მიერ თავისი შვილის დასაქმება ბერძნულიდან ქართულად წიგნების თარგმნაზე და მეორე მხრივ, ეფთვიმესა და იოვანეს მიერ წიგნების დაწერა.

3. გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც ანდერძის ქუთაისის N20 ხელნაწერში არსებულ ვერსიას გვიანდელად თვლის, ემყარება ვარაუდს, რომ ანდერძის რომელიღაც გადამწერს სცოდნია, რომ ეფთვიმემ ბალავარიც თარგმნა და ამიტომაც იგი ნუსხაში ჩაუმატებია. მე ვფიქრობ, რომ ეს ვარაუდი ძალზე საეჭვოა. ჯერ ერთი, ძნელი სარწმუნოა, რომ რომელიღაც გადამწერს სცოდნოდა ეფთვიმეს მიერ ბერძნულად დაწერილი ბარლაამის შესახებ. არ დაჰკვირვებოდა იმას, რომ მისი ადგილი არაა იოვანეს ჩამოთვლილ წიგნთა შორის და შიგ ჩაერთო. ეს მაშინ, როცა ამ ჩამონათვალს არ დაუმატა ეფთვი-

მეს თარგმნილი და მისთვის ბევრად უფრო ცნობილი ქართული წიგნები, რომლებიც ანდერძის სხვა ნუსხებში ჩანს. „თარგმანებად ბალავარისი“ ამ ნუსხაში დანამატი რომ იყო, მისი ადგილი ბოლოში იქნებოდა და არა მეხუთე ადგილას. იმასაც უნდა მიეჭვეს ყურადღება, რომ ანდერძის ამ ნუსხაში დასახელებული „თარგმანებად ბალავარისი“ ბალავარიანის თარგმნას კი არ ნიშნავს, არამედ „თარგმანებად ბალავარისის“ დაწერას. იგი იმავე ტიპის სათაურია, როგორც იქვე დასახელებული „თარგმანებად იოვანეს თავისად წმიდისა სახარებისად“. იოვანე ამბობს, რომ ეფთვიმესა და მის მიერ დაიწერა „კომენტირება“ ბალავარიანისა. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ იოვანე ბუნდოვნად მიანიშნებს იმდროისათვის ახლებურ ლიტერატურულ სტილზე, ანუ ბალავარიანის გადამუშავებაზე (მეტაფრასირებაზე) [20, გვ. 277-78]. მეორეც, ანდერძის სხვა ვარიანტში, რომელიც უფრო ადრინდელ და თანაც ათონურ ხელნაწერებშიცაა დაცული (კერძოდ, Ath. 10, Ath. 136), პირველ ვარიანტზე დამატებით ეფთვიმეს თარგმნილი 6 თხზულებაა დასახელებული. მათში ეფთვიმეს თარგმნილი თხზულებების ნუსხა შევსებულია, ბალავარიანი კი ამოღებულია. სწორედ იმიტომ, რომ იგი ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ თხზულებათა შორის შეცდომით დასახელებულად ჩაითვალა. ამიტომ ვფიქრობ, რომ იოვანეს ანდერძის ზემოთ დასახელებულ ათონურ ხელნაწერებში დაცული ვარიანტებია შემდგომი გადამუშავება, ხოლო ქუთაისის ხელნაწერში დაცული ვარიანტი – თავდაპირველი.

ამ ანდერძის ამგვარი გადამუშავება, სავარაუდოდ, ათონის ქართველთა საღვთისმეტყველო წრეში შეიძლებოდა მომხდარიყო და შეიძლება თვით ეფთვიმეს მეთვალყურეობით. მხოლოდ იქ შეიძლებოდა იმთავითვე გააზრებულიყო, რომ იოვანეს ჩამონათვალში ეფთვიმეს მიერ ქართული ბალავარიანის გადამუშავებით შექმნილი თხზულების ადგილი არ იყო, რამდენადაც იოვანეს ანდერძით ის აზრი იქმნებოდა (ისე ჩანდა), რომ ეს თხზულება ეფთვიმემ თარგმნა ბერძნულიდან ქართულად. ამიტომაც ამ ნუსხიდან „თარგმანებად ბალავარისის“ ამოღებასთან ერთად, ჩამონათვალი შეივსო ეფთვიმეს თარგმნილი სხვა თხზულებებით, რომლებიც ეფთვიმემ თარგმნა ამ ანდერძის დაწერის შემდეგ, ან იოვანეს გამორჩა (არ დაუსახელებია). ასეთი გადამუშავებითაა ეს ანდერძი Ath. 10 ხელნაწერში, რომელსაც მკვლევრები 1002 წლით ათარიღებენ. ამ დროს ივირონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ წრეში ეფთვიმე უკვე უმთავრესი ავტორიტეტია. იგი რომ დაინტერესებული იყო მის მიერ თარგმნილი იოვანე ოქროპირის მათეს სახარებაში ჩართული ანდერძის გადამუშავებით, აშკარად ჩანს. შემონახულია ამ თხზულების ათონზე ეფთვიმეს სიცოცხ-

ლემი და მისივე დავალებით 1008 წელს გადაწერილი ხელნაწერი – Ath. 13. ამ ხელნაწერში შეტანილი ანდერძიდან „ამოღებულია II ნაწილი, ანუ ის მონაკვეთი, სადაც იოვანე სწორედ ექვთიმეს ღვაწლზე გვესაუბრება და დასახელებულია ექვთიმეს მიერ თარგმნილი წიგნები“ [9, გვ. 97]. იოვანეს ანდერძის ბალავარიანზე მიმათითებელი ვარიანტი, რომ სხვა ვარიანტებზე ადრინდელია, ამას ისიც მიანიშნებს, რომ ამ ხელნაწერშია დაცული თარიღი, 1002 წელი, რაც მიანიშნებს ან ეფთვიმეს მიერ იმ თხზულების თარგმნის დასრულებაზე, რომელსაც ეს ანდერძი ერთვის, ან იმ ხელნაწერის დაწერის დროზე, რომლისგანაც მომდინარეობს ქუთაისის მუზეუმში დაცული (ადრე გელათის მონასტრის ყოფილი) ხელნაწერი. Ath. 10-ში, რომელიც ამ თხზულების შემცველი ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრინდელ ხელნაწერად ითვლება, ეს მინაწერი აღარ იკითხება. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ქართულ წყაროებში XI საუკუნის დასაწყისისათვის მითითებულია, რომ ეფთვიმე ათონელი უკვე მუშაობდა *ბარლაამ-რომანის* შექმნაზე [20, გვ. 221].

**ბარლაამ-რომანის დათარიღებისათვის.** იოვანეს ანდერძის განხილვის შედეგად მიღებული დასკვნები ეფთვიმეს მიერ ბერძნული *ბარლაამის* შექმნის დათარიღებისათვის საკმარისი არ არის. არც იმ ვარაუდს შეიძლება დავუჭიროთ მხარი, რომ ეფთვიმეს ბალავარიანი 980-იანი წლების დასაწყისისთვის უკვე თარგმნილი ჰქონდა და სვიმეონ ლოლოთეც იგი თავის *მენოლოგიონში* აქვს გამოყენებული, როგორც ამას რ. ფოლკი მიიჩნევდა. საკითხი არც ისე მარტივად უნდა გადაწყვიტოთ, რომ ეფთვიმე როგორღაც წააწყდა მეტაფრასტულ ტექსტებს და მათი მოშველიებით ბალავარის თარგმნა გადაწყვიტა [17, გვ. 6]. ჩემი თვალსაზრისი ბერძნული *ბარლაამის* შექმნაზე ევროპული სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი იყო წინა საუკუნის დასასრულს. იგი თეზისების სახით ბიზანტინისტთა XIX საერთაშორისო კონგრესის მასალებში დაიბეჭდა კოპენჰაგენში 1996 წელს [19]; ხოლო სტატიის სახით – რომში, ჟურნალში *Orientalia Cristiana Periodical*, 1997 წელს [18]. 2000 წელს კი მოხსენების სახით წარედგინა სანკტ-პეტერბურგში საერთაშორისო კონფერენციას და გამოქვეყნდა კონფერენციის მასალებში [32]. ამ თვალსაზრისის პრეზენტაცია განმეორდა აგრეთვე ბიზანტინისტთა 22-ე საერთაშორისო კონგრესზე 2011 წელს სოფიაში [21].

ბერძნული *ვარლაამ* და *იოასაფის* ისტორიის შექმნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას შემთხვევით გარემოებად, მთარგმნელისა თუ ავტორის მხოლოდ პირადი ინტერესის შემოქმედებით აქტად. ჩანს, რომ თხზულების პოპულარიზა-

ციის იდეას იმთავითვე ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. X საუკუნის ბოლო ათწლეულების დროს შექმნილი თხზულება თვით XI საუკუნის დასაწყისიდანვე და შემდგომ ამავე საუკუნიდან ათობით ხელნაწერთაა მოღწეული. ამავე საუკუნეში იგი ორგზისაა თარგმნილი ლათინურად, სავარაუდოდ, რუსულად და არაბულადაც. ეს მაშინ, როცა ამ დროისათვის ვარლაამი და იოასაფი არ არიან ბერძნული ეკლესიის წმინდანები, მათი კანონიზაცია ბიზანტიური ეკლესიის კალენდარში მთელი საუკუნის შემდეგ ჩანს. ვფიქრობ, თხზულების შექმნის პერიოდისთვის ბიზანტიის სოციალურ-პოლიტიკურსა და სასულიერო ცხოვრებაში უნდა ყოფილიყო საჭიროება და მიზეზი იმისა, რომ გაჩენილიყო ამგვარი აგიოგრაფიული თხზულება. ჩემი აზრით, ამ მიზეზსა და საჭიროებაზე თვით ბარლაამ-რომანის თემატური და იდეური ჩარჩო და მონახაზი მიანიშნებს. ეს კი არა მხოლოდ ორი მორწმუნის ღვაწლისა და სულიერი ამაღლების წარმოჩენაა, არამედ მასთან ერთად და მასზე უპირატეს წარმართული ქვეყნის ქრისტიანობაზე მოქცევის პროპაგანდა: წარმართობის განქიქება, ქრისტიანობის აპოლოგია და გაქრისტიანებული ქვეყნის ბედნიერებისკენ სვლის დემონსტრირება [18, გვ. 499].

ამ იდეოლოგიის პროპაგანდა ბიზანტიის სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის მთელი მეათე საუკუნის დღის წესრიგში იყო, ხოლო სასიცოცხლო ინტერესად იქცა ამავე საუკუნის უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში. ეს იყო წარმართული რუსეთისა და მთელი სლავების – ბულგარელების, სერბების – გაქრისტიანების საკითხი. IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთი უმთავრესი მიმართულება ჩრდილოეთით მცხოვრებ წარმართ ხალხთა ქრისტიანობაზე მოქცევა იყო [18, გვ. 500-501]. ამაზე ნათლად მეტყველებს საისტორიო წყაროები ბიზანტიის იმპერატორებზე: ნიკიფორე I (802-811), ბასილი I (867-886), კონსტანტინე პორფიროგენეტი (913-959), რომანოს I (920-944), ნიკიფორე II (963-969), იოანე ციმისხი (969-976), ბასილი II (976-1025) [27, გვ. 322-325]. ამ ჩამონათვალთაგან უკანასკნელმა მრისხანე იმპერატორმა ბასილიმ ცეცხლითა და მახვილით დაასრულა ბულგართა გაქრისტიანება და იმპერიისათვის შემოერთება. ამის უწინარეს კი, იმდროინდელი სამეფო კარისა და საპატრიარქოს დიპლომატიამ რუსეთის მთავრის ვლადიმირის გაქრისტიანებით რუსეთი ბიზანტიის ხანგრძლივ მეგობრად აქცია. 986 წელს იმპერიის დიდი მხედართმთავარი ბარდა ფოკა სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყდა და სამხრეთის პროვინციებიდან დიდი ლაშქარი დაძრა დედაქალაქის წინააღმდეგ. იმპერატორმა დახმარება კიევის ახალგაზრდა მთავარს ვლადიმირს სთხოვა. დიპლომატიის გეგმა ასეთი იყო: ვლადიმირს 6000-

იანი არმია უნდა გაეგზავნა ბასილი იმპერატორის დასახმარებლად და შემდეგ, თუ ვლადიმირი მიიღებდა ქრისტიანობას და მონათლავდა თავის ხალხს, მას ცოლად შერთავდნენ იმპერატორის ახალგაზრდა დას, ანას. მოლაპარაკება გარკვეული წინააღმდეგობებისა და გართულებების შემდეგ შესრულდა. პრინცესა ანა დედოფლად გაგზავნეს რუსეთში, მღვდელმსახურთა დიდი შემადგენლობით სამეფო კარისა და ხალხის მოსანათლად. ეს იყო 988 ან 989 წელს. ესა ის დროა, როცა ბიზანტიის სამეფო კარსა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ქრისტიანობის პროპაგანდისტვის სჭირდებოდა წარმართობის განქიქება, ახალი რელიგიის აპოლოგია, რწმენის უმთავრესი პოსტულატების მარტივი და მიმზიდველი ინტერპრეტირება, ახალგაზრდა მეფის მიერ ქვეყნის გაქრისტიანებით ბედნიერების დამკვიდრების მიმზიდველი ამბის თხრობა. ამ მისიას ემსახურება ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე შექმნილი ბრწყინვალე სასულიერო რომანი – *სულისმარგებელი ისტორია ბარლაამისა და იოასაფისა*.

ბიზანტიის სამეფო კარის დასაყრდენი უმთავრესი იდეოლოგიური ცენტრი იყო ათონის სამონასტრო კორპორაცია და მისი სულიერი მოძღვარი, სამეფო კართან ძალზე დაახლოებული, ათანასე დიდი. ამ უკანასკნელის მთავარი ინტელექტუალური საყრდენი კი ივირონის ქართველ ღვთისმეტყველთა განათლებული ჯგუფი (ათანასეს ანდერძით, მის შემდეგ ათონის მთის მთელი საბერძნოვანო კორპორაციის სულიერი მოძღვარი, ეპიტროფი, ქართველთა საძმოს წინამძღვარი იოვანე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი ეფთვიმე უნდა ყოფილიყო). ივირონის ქართველებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი სამეფო კარის ინტერესებთან (976 წელს აჯანყებული ბიზანტიელი მხედართმთავრის დასამარცხებლად სამეფო კარმა ქართველთა სამეფოსაგან დახმარების მისაღებად მოციქულად ათონელი ქართველი ბერი იოვანე-თორნიკოფილი გაგზავნა). ამიტომ არაა მოულოდნელი ივირონის ქართველ ინტელექტუალთა დაინტერესება იმ პრობლემატიკით, რაც ბიზანტიის სამეფო კარისა და ეკლესიისათვის ძალზე აქტუალური იყო.

ბერძნული ბარლაამ-რომანის შექმნისა და გავრცელების ქრონოლოგია რომ რუსეთის გაქრისტიანების ეპოქას უკავშირდება, ამაზე თითქოს ჩვენამდე მოღწეული მატერიალური ფაქტებიც მიანიშნებს. ესაა თხზულების ბერძნული ხელნაწერები, რომელთაგან რამდენიმე მათგანს X საუკუნის დასასრულის თუ არა, XI საუკუნის უშუალოდ დასაწყისი წლებით ათარიღებენ. ეს კი თხზულების შექმნას, სავარაუდოდ, X საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეულის მიჯნაზე მიანიშნებს. ზემოთ განხილული იოვანე ათონელის ანდერძით, ეფთვიმეს მიერ

„თარგმანებად ბალავარისის“ დაწერის თარიღადაც ეს პერიოდი შეიძლება ვივარაუდოთ (იოვანეს ანდერძში ეფთვიმეს თარგმანების ნუსხაში ერთგვარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ჩანს. დღემდე მოღწეული ხელნაწერებით დასტურდება, რომ აქ დასახელებული პირველი სამი თხზულება – იოანეს სახარების თარგმანება, ბასილი დიდის *სწავლანი*, *კლემაქსი* – 980-იანი წლების დასაწყისში უკვე თარგმნილი იყო [5, გვ. 198-204]. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ *ვარლაამ და იოასაფის ისტორიის* ძალიან ძველი და მნიშვნელოვანი კვალი ჩანს რუსულ მწერლობაში. ძველი რუსული თარგმანი ამ თხზულების ნაწყვეტებისა და იგავებისა შეტანილია უძველეს რუსულ ქრისტოლოგიურ კრებულში – *პროლოგი* [31, გვ. 70-89]. მიჩნეულია, რომ რუსული თარგმანი *ბარლაამისა* შესრულებულია უშუალოდ ბერძნული ენიდან კიევის რუსეთში არაუგვიანეს XII საუკუნის პირველი ნახევრისა. ათონური წარმოშობისაა თხზულების სერბული და ბულგარული თარგმანები, შესრულებული XIII-XIV საუკუნეებში [31, გვ. 107]. *ვარლაამ და იოასაფის ისტორიის* ჩვენამდე მოღწეული რუსული ხელნაწერები, სრული ან ფრაგმენტული სახით, 1000 ეგზემპლარამდე აღწევს [30, გვ. 246]. საინტერესოა, რომ თხზულების უძველესი თარიღიანი ბერძნული ხელნაწერი გადაწერილი ეფთვიმეს სიცოცხლეში, 1021 წელს, კიევის წიგნთსაცავში ინახება.

ეს თვალსაზრისი, ანუ თვალსაზრისი, რომ ბერძნული *ბარლაამ-რომანის* შექმნა უნდა დათარიღდეს დაახლოებით X საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეულით და ინსპირირებული უნდა იყოს ბიზანტიის სამეფო კარისა და ეკლესიის მიერ ჩრდილოელი წარმართი მეზობლების, რუსეთისა და, საზოგადოდ, სლავების, გაქრისტიანების იდეით, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრულიდან ბიზანტინისტა ნარკვევებში უკვე დასტურდება. 2013 წელს პორტუგალიაში *ვარლაამ და იოასაფის* თხზულებაზე გამოქვეყნდა A. Ribas-ის დისერტაცია, რომლის ერთი უმთავრესი თეზა ის არის, რომ ბერძნულად ამ თხზულების შექმნა ბიზანტიის იმპერიის მიერ სლავების გაქრისტიანებას უნდა უკავშირდებოდეს.

2011 წელს, ბიზანტინისტა 22-ე კონგრესზე ჩემი ზემოთ დამოწმებული მოხსენების თეზისების გაგზავნის უმალ მე მივიღე წერილი *ბარლაამის* ცნობილი მკვლევრის ი. გროსმანისა, რომელსაც თან ახლდა 2009 წელს გამოქვეყნებული მისი გამოკვლევა (ჩემ მიერ ზემოთ მითითებული) *ბარლაამისა და მენოლოგიონის* ტექსტთა ურთიერთმიმართებაზე. მინდა ამ მოკლე წერილის თარგმანი სრული სახით მოვიყვანო (წერილი ინგლისურ ენაზე):

„ძვირფასო პროფ. ხინთიბიძე, დღეს შევიტყე, რომ თქვენ სოფიაში ისაუბრებთ ბარლაამ და იოასაფის ისტორიის თაობაზე. თუ წინააღმდეგი არ ხართ, მინდა გამოგიგზავნოთ ჩემი სტატია ბარლაამის ისტორიაზე, რომელიც გასულ წელს ვენაში გამოქვეყნდა. ვიმედოვნებ, რომ თქვენთვის სასარგებლო იქნება. სამწუხაროდ, მე თქვენს სტატიას, გამოქვეყნებულს OCP-ში (*Orientalia Christiana Periodica* – ე. ხ.), წავაწყდი, როცა ჩემი სტატია უკვე მზად იყო გამოსაქვეყნებლად. ამიტომაც, მისი ციტირება აღარ შემიძლო. მიუხედავად ამისა, მე კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ ეთანხმებით ბარლაამის შექმნის ჩემეულ დათარიღებას X საუკუნის დამლევით, თუმცა მე განსხვავებული მიდგომა მაქვს. ჩემს სტატიაში მე ვცდილობ ვაჩვენო, რომ ბარლაამშია შეტანილი ციტატები მეტაფრასტის მენოლოგიონიდან და არა პირიქით, როგორც ამას ფოლკი მიიჩნევდა. რაც ჩემს სტატიაში არ ჩანს ნათლად და მინდა, რომ სხვაში გამოვაქვეყნო, არის შემდეგი: მე მჯერა, რომ ეფთვიმე ათონელმა თარგმნა ბალავარიანი და ეს თარგმანი გამოიყენა სხვა მწერალმა, რომელმაც შექმნა ბარლაამი. რადგანაც მე არ ვიცი ქართული ენა და არ მგონია, რომ მას ოდესმე ვისწავლი, ვფიქრობ, რომ შესწავლა ქართული ბალავარიანისა და ბერძნული ბარლაამის პარალელური პასაჟებისა, ამ უკანასკნელის კომპოზიციის ახალ ასპექტებს გამოავლენს. პატივისცემით, იოანის გროსმანი (Ioannis Grossmann) (პარასკევი, 13 მაისი, 2011)“.

ი. გროსმანი თავის გამოკვლევაში სრული დამაჯერებლობით ასაბუთებს, რომ რ. ფოლკის თვალსაზრისი ბარლაამისა და მენოლოგიონის მიმართებაზე არაა სარწმუნო. სტატიაში გროსმანს მოჰყავს ამონაწერები ფოლკის გამოკვლევიდან, კერძოდ, მსგავსებები წმ. მაკრინეს ცხოვრების, წმ. ეკატერინეს წამებისა და წმ. პოლიევკტოსის წამების წინარემეტაფრასტული ტექსტებისა. ამავე თხზულებების მენოლოგიონისეულ მეტაფრასტულ და ბარლაამის შესაბამის ნაწყვეტების შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ფოლკის დასკვნების საპირისპიროდ, ბარლაამი მომდინარეობს მენოლოგიონიდან. ეს უკანასკნელი კი – წინარე მეტაფრასტული ტექსტებიდან. გროსმანის აზრი კი, რომ ეფთვიმესეული თარგმანი ბალავარიანის შემდგომში უცნობი ავტორის მიერ გადამუშავდებოდა ბარლაამად, განმეორებაა ადრე გამოთქმული ვარაუდისა, რომელიც არავითარ არგუმენტს არ ემყარება და დღეისთვის ცნობილი ფაქტების დონეზე, ასევე სავარაუდოდ, არასწორია. არც ქართულ და არც ბერძნულ წყაროებში არ ჩანს რაიმე მინიშნება ეფთვიმეს თარგმნილი ბალავარიანის გადამუშავებაზე. მეორე მხრივ კი არაა სავარაუდო, რომ ეფთვიმე, რომელიც ამ პერიოდში ათონის მთელი სამონასტრო კორპორაციის სულიერი მოძღვარი იყო და სიცოცხლის უკა-

ნასკნელ ათწლეულში უპირატესად ლიტერატურული საქმიანობით დაკავებულნი, თავის შექმნილ ბალავარ-რომანს სხვის გადასამუშავებლად განაწესებდა.

**ბარლაამის ლემის იოანეს შესახებ.** ბერძნული ბარლაამის პრობლემატური საკითხების მსუბუქი ვარაუდებით გადაწყვეტა დამახასიათებელი იყო უპირატესად წინა საუკუნის პირველი ნახევრის გამოკვლევებისათვის. ერთი მათგანი იყო ბარლაამის ხელნაწერის ე.წ. ლემაში მოხსენებული ამბის წმინდა ქალაქში მომტანი საბაწმინდელი ბერის იოანეს (δὸς Ἰωάννου μοναχῶν), ვინაობის ამოცნობით თხზულების ავტორობის საკითხის გარკვევა. როგორც ცნობილია, ბარლაამ-რომანის ძველი ბერძნული ხელნაწერები იწყება ვრცელი სათაურით ანუ ე.წ. ლემით. ამ ლემის ვარიანტთაგან ერთი მათგანი, რომელიც, ჩემი აზრით, ზოტენბერგისა და დიოლგერის თვალსაზრისის თანახმად, თავდაპირველი უნდა იყოს, ამგვარად იკითხება: „სულის მარგებელი მოთხრობა ეთიოპელთა, ეგრეთ წოდებულ ინდოთა, უშინაგანესი ქვეყნიდან, წმინდა ქალაქში მოტანილი პატივდებული და რჩეული კაცის იოანეს მიერ, [რომელი იყო] წმინდა საბას მონასტრის ბერი“ [შეადარე – 8, გვ. 224]. სწორედ ამ იოანე საბაწმინდელი ბერის ვინაობას აზუსტებენ ძველ ხელნაწერთა გადამწერები იოანე სინელად, იოანე ტაბენისიელად, ან უპირატესად იოანე დამასკელად. ამავე ლემისეული იოანეს საფუძველზე ვარაუდობდნენ მეცნიერ-მკვლევრები ბარლაამის ავტორად VI საუკუნის ანონიმ საბაწმინდელ იოანეს (პ. ზოტენბერგი), ან მეცხრე საუკუნის ეთიოპიელ მოგზაურ იოანეს (ა. კაჟდანი). ამგვარი ვარაუდებით ამოცნობა ბარლაამის ავტორის ვინაობისა, რა თქმა უნდა, არამეცნიერულია და საკითხის კვლევის პირვანდელი, უკვე განვლილი, ეტაპია. შემდგომი პერიოდის მეცნიერული კვლევები დაეფუძნა ბიზანტიურ წყაროებში ბარლაამ-რომანზე მიმანიშნებელი პირველი ფაქტების გამოვლენას (პ. პეეტერსი), ავტორის მიერ აღმოსავლური ნარატივის თეოლოგიური პასაჟებით გავრცობის წყაროების ძიებას (ფ. დიოლგერი, რ. ფოლკი), ბარლაამის სიუჟეტის ჩვენამდე მოღწეულ აღმოსავლურ (არაბულ, ქართულ) თხზულებებთან მიმართების კვლევას (დ. ჟიმარე, ე. ხინთიბიძე). თავისთავად, თხზულების ლემაში მოხსენიებული ამბის (თუ წიგნის) წმინდა ქალაქში მომტანი იოანეს ვინაობა, რა თქმა უნდა, საინტერესოა. (სხვა საქმეა, რომ არამეცნიერულია ამგვარი ვარაუდებით თხზულების ავტორის დადგენა). საქმე ისაა, რომ ამბის მთხრობელზე ან მიმტანზე მითითება დამახასიათებელია შუასაუკუნეების მწერლობის აპოფთეგმური ჟანრისათვის, რაც, ყველა შემთხვევაში, რეალურ ფაქტზე მითითება არ უნდა იყოს. მაგალითად, ამგვარად იწყება ქართული ბალავარიანის ყველაზე პოპულარული



ვერსია – სიბრძნე ბალაჰვარისი: „გვთხრობდა ჩუენ მამაჲ ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისაჲ“ [1, გვ. 4]. ეს საფუძველი შეიძლება მოეძებნოს პ. პეეტერსის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ამ ლემის იოანე გამოგონილი და არარეალური პიროვნებაა. ამ ვარაუდს რ. ფოლკიც იზიარებს [28, გვ. 85]. ქ. ჰეგელს ეს ვარაუდი საკითხის გადაწყვეტად მიაჩნია [17, გვ. 354]. გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულებისათვის ბარლაამ-რომანის ავტორად ეფთვიმე ათონელის მიჩნევის თვალსაზრისი აქტუალური გახდა. ამდენად, ბუნებრივია, რომ ინდური ნარატივის წმინდა ქალაქში მომტანი ბერი იოანეს ვინაობის ძიება ივირონის დოკუმენტებში უნდა დაწყებულიყო. ამიტომაც ვასახელებდი მე ივირონის კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში აქტიური სამი იოვანეს სახელს: იოვანე ათონელი, იოვანე-თორნიკე, იოვანე გოლგოთელი [10, გვ. 7] და განსაკუთრებულ ყურადღებას იოვანე-თორნიკეს ვუთმობდი [20, გვ. 219-220]. ჩემი ვარაუდი, როგორც სპეციფიკური თვალსაზრისი ამ საკითხზე, ევროპულ ბიზანტინისტიკაში დამოწმებულია [28, გვ. 85]. მე მორიდებულად მივანიშნებდი ამ ვარაუდზე, რამდენადაც, ვასაბუთებდი ეფთვიმეს ავტორობას, ვარაუდებზე დამყარებული აზრის არგუმენტად მოხმობა არამეცნიერულად მიმაჩნდა. დღეს, როცა ეფთვიმეს მიერ ბალავარიანის ბერძნულად თარგმნის ფაქტი ეჭვს თითქმის აღარ იწვევს, ჩემი ვარაუდის უფრო მკაფიო და დაბეჯითებით არგუმენტირებას შევეცდები.

დავიწყოთ იმით, რომ ბარლაამის ლემის პრობლემების შესწავლისას, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თხზულების დასაწყისს („პროლოგი“ და „შესავალი“), რომელშიც ავტორი თავის თავზე და თხზულების შექმნის დეტალებზე საუბრობს. ამ დეტალებს ათონის ქართველთა ლავრასთან და თვით ეფთვიმესთან მივყავართ: ავტორი საუბრობს „ღვთაებრივ კაცებზე“, რომელთაც მას ეს ამბავი მიუტანეს, რომელთა იდენტიფიცირებას, სარწმუნო ვარაუდით, ათონის სამონასტრო კორპორაციასთან და, კონკრეტულად, ივირონის ლავრასთან მივყავართ. ამბის მომტანის სახელი ლემაში იოანედაა დასახელებული. ავტორი ბერძენ მკითხველს მასთან მიტანილი ნარატივის ინდოეთს ეთიოპიად წარუდგენს. ჩემი აზრით, ამ აღრევასაც ისევ ეფთვიმესთან მივყავართ. წმინდა წერილის აღმოსავლეთის ხალხთა თარგმანებში (სირიული, სომხური, ქართული) „საქმე მოციქულთას“ ეთიოპიელი დედოფალი ინდოეთის დედოფლად იყო გადატანილი. ეფთვიმეს მიერ ბერძნული საკუთარი სახელებისა და ტერმინების ქართულად გადატანა ბიბლიური ტექსტების საფუძველზე ხდებოდა. ეფთვიმე თავად არის ამ ტექსტების მთარგმნელი [18, გვ. 493-496]. ბარლაამის ლემის (სათაურისა) და „პროლოგის“ კავშირი (ურთი-

ერთმიმართება) აშკარაა სპეციფიკური დეტალებით: „სულისმარგებელი მოთხრობა“, „ეთიოპიელთა, ეგრეთ წოდებულ ინდოთა ქვეყანან და ამბის მომტანზე მითითება (ერთ შემთხვევაში წმინდა ქალაქში, მეორეში კი – ავტორთან). სათაურში ნათქვამია, რომ ესაა წმინდა საბას მონასტრის ბერის იოანეს მიერ წმინდა ქალაქში მოტანილი ინდოეთიდან მომდინარე სულის მარგებელი ამბავი, „პროლოგში“ კი ავტორი ამბობს, რომ მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ამ ამბავს, რომელიც მასთან ღვთისმოსავმა კაცებმა მიიტანეს.

უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლემის მიხედვით, ამბის მომტანი ბერი თითქოს ერისკაცის ეპითეტებითაა შემკული: „პატივდებული და რჩეული კაცი“ (*ἀνδρὸς τιμίου καὶ ἐναρέτου*). შუასაუკუნეების საბერძნეთის ცხოვრების პოზიციიდან მოულოდნელია ბერის ამგვარი წარდგენა (გავიხსენოთ: ეფრემ მცირე, იოვანე მინჩხი, მიქელ მოდრეკილი, ცოდვილი იორდანე). ათონის მთაზე, ეფთვიმეს გარემოცვაში აღმოსავლეთიდან (ანუ ათონის აღმოსავლეთიდან) წიგნების, ამბების, და სხვა დიდი სიმდიდრის მიმტანი არის იოვანე-თორნიკე. თანამედროვეთა მიერ იგი იყო შემკული ყველა ამგვარი საერო პატივით და მათ, მონაზვნად შემდგარი, დიდხანს არ ივიწყებდა. ზუსტად ამგვარი ეპითეტებით მოიხსენიებს იოვანე-თორნიკეს წმ. გიორგი მთაწმინდელი: „განთქმულმან და საჩინომან კაცმან“ [2, გვ. 50]. იოვანე-თორნიკე ათონის მთაზე მის მიერ მოტანილ და მისივე მოგებულ წიგნზე (სამოთხე - *Ivir. Geo.* 9) დართულ საკუთარ ანდერძში უფალს ამგვარად შესთხოვს: „...სალოცველად თავთა ჩუენთა – პირველად იოვანე-თორნიკ-ყოფილისათვის და აწ, წმიდა მეფეთა მიერ იოვანე სზნგელოზისათვის, რომელმანცა სიყუარულისათვის ღმრთისა დაუტევა დიდებად ქვეყნისად და პოვა ზეცისად“ [3, გვ. 47]. ესაა სიტყვები ქართველთა სახელგანთქმული მხედართმთავრისა, რომელსაც ბიზანტიის სამეფო კარისაგან პატრიკის დიდი წოდება ჰქონდა, ხოლო აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ სინკელოზის პატივიც მიაგეს. იოვანე-თორნიკე არა მხოლოდ ათონზე არამედ საქართველოს სამონასტრო წრეებშიც ყოველთვის საერო პატივითაც მოიხსენიებოდა. იგი მომგებელია ქართული სამონასტრო კულტურის უდიდესი განძის, ოშკში მისი წარსაგებლით გადაწერილი ათონის ბიბლიის. ამ უზარმაზარ წიგნს რამდენიმე გადამწერელი ჰყავს, რომლებიც ბიბლიის თითოეული წიგნის დასრულებისას მინაწერებს აკეთებენ, დალოცვით მოიხსენიებენ იოვანე-თორნიკეს მისი საერო წოდებების აღნიშვნით: „ქრისტე, შეიწყალე თორნიკ პატრიკი“ (*Ivir. Geo.* 1, 220v), „ქრისტე, ადიდე თორნიკ პატრიკ“ (397r), ქრისტე, შეიწყალე თორნიკ სზნგელოზი“ (117v), „ქრისტე, შეიწყალე იოვანე-თორნიკ“ (271v), „ქრისტე, შეიწყალე მამად იოვანე თორნიკ-ყოფილი“ (148r).

**ლემის იოანე - წმინდა საბას მონასტრის ბერი.** ბერძნული ბარლაამის ლემა კიდევ ერთ ენიგმას წარმოაჩენს. „სულის მარგებელი მოთხრობის“ „წმინდა ქალაქში“ მომტანი „პატივდებული და რჩეული“ კაცი იოანე „წმინდა საბას მონასტრის ბერადაა“ წარმოდგენილი. იოვანე თორნიკ-ყოფილი ბერი იყო, მაგრამ თუ იგი ოდესმე სტუმრობდა იერუსალიმს და სახელგანთქმულ საბაწმინდის მონასტერს, ამაზე ქართულ წყაროებში არავითარი მინიშნება არ ჩანს.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც მე ბერძნული „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ავტორად ეფთვიმე იბერიელის ავტორობას ვასაბუთებდი, ვცდილობდი, ძნელად სამტკიცებელი ვარაუდებისაგან თავი შეემეკავებინა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაკლებად სარწმუნო ვარაუდი მკითხველს სამტკიცებელი თეზის ძირითად არგუმენტებშიც დააეჭვებს. დღეს სხვა ვითარებაა: ეფთვიმემ რომ ბერძნულად ქართულიდან თარგმნა და გადაამუშავა ბალავარიანი, საქმეში ჩახედულ თითქმის ყველა ბიზანტინისტს სარწმუნოდ მიაჩნია. ამიტომაც შესაძლებლად მივიჩნევ ბარლაამის საკითხთან დაკავშირებული ერთი ახალი ვარაუდის წარმოდგენას. ათონის მთაზე იოვანეს სახელით ბერად შემდგარი ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამთავროს მხედართმთავარი თორნიკე ბიზანტიის სამეფო კარის თხოვნით სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ქართველთა მხედრობას ბერძენთა ახალგაზრდა მეფეების წინააღმდეგ 976 წელს აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად. ათონზე კი დაბრუნდა 979 წელს, სკლიაროსის დამარცხების შემდეგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ბერად რჩება იოვანე თორნიკ-ყოფილის სახელით და მჭიდრო კონტაქტი აქვს ტაო-კლარჯეთის დიდ ქართულ სამონასტრო კომპლექსთან. წმ. გიორგი მთაწმინდელი საგანგებოდ აღნიშნავს: „იყო რად თორნიკ აღმოსავლეთს, მრავალნი ფიქოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა სიმრავლე არამცირედი“ [2, გვ. 299]. ქართული წყაროები წარმოაჩენენ ამ პერიოდში იოვანე-თორნიკეს კავშირს უპირატესად ოშკის დიდ ქართულ საბერძნულ მონაზვნო კულტურულ ცენტრთან. 978 წელს ოშკში იოვანე-თორნიკეს წარსაგებლით გადაწერილი და მისივე ანდერძით შემკული ქართული ბიბლიის ორტომეული ახლაც ივირონის წიგნთსაცავში ინახება. ზემოთ მოხსენიებული სამოთხეც, რომელშიც ასევე იოვანე-თორნიკეს ანდერძია ჩართული, ოშკშია მისი წარსაგებლით გადაწერილი და შეძენილი (Ivir. Geo. 9, 377v): „მე იოვანე თორნიკ-ყოფილმან, და ძმამან ჩემმან, იოვანე ვარაზვაჩე... მოვიგეთ და დავწერეთ წმიდად ესე წიგნი...“. იოვანე თორნიკ-ყოფილის ანდერძი ამგვარად მთავრდება: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი დიდებულისა ლავრასა ოშკსა, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამობასა საბადასა, ქრისტემან აკურთხენ! კელითა

სტეფანე დეკანოზისადთა და მისითვე კელთითა შეიმოსა, ღმერთმან აკურთხენ! ქორონიკონი იყო რჳზ“ [3, გვ. 47]. ამავე ლავრაში იწერება ათონის ბიბლიაც, რომლის მომგებელიც იოვანე-თორნიკეა, რაზედაც ზუსტად ასეთივე სიტყვებით მიუთითებს ერთ-ერთი გადამწერი: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა“ (Ivir. Geo. 1, 213v). სამოთხე და ბიბლია ოშკის მონასტერში საბას წინამძღვრობისას 977 და 978 წლებში გადაიწერა. ერთი წლის შემდეგ (979-980 წწ.) ისევ იოვანე-თორნიკეს წარსაგებელით იქვეა გადაწერილი კიდევ ერთი საღვთისმეტყველო წიგნი („თქუმული კოზმან მეჭურჭლისად აღმოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდისა იოვანე ოქროპირისათა...“ – Ivir. Geo. 3). გადამწერი იოვანე ჩირად თავის „ანდერძს“ წიგნის მომგებლების სახელის ხსენებით იწყებს [6, გვ. 29]: „...წადიერ ვიყავი მსახურებისთჳს ღმრთივ-დიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა: პირველად იოვანე-თორნიკ სინგელოზისათჳს და ვარაზვაჩე-იოვანესთჳს ...“; და ამთავრებს წიგნის გადაწერის ადგილზე მითითებით: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს, საყოფელსა წმიდადსა და დიდებულისა ნათლისმცემლისასა, წინამძღვრობასა წმიდისა მამისა საბადსსა, ღმერთმან ადიდენ...“ (Ivir. Geo. 3,141r-v). როგორც ჩანს, „წმინდა მამა საბას“ სახელით მოიხსენიებდნენ ოშკის წინამძღვარ საბას მისსავე მონასტერშიც. 979 წელს, იოვანე-თორნიკე ამ წიგნებით ათონზე ბრუნდება. ბუნებრივია, რომ მონაზონი იოვანე, თორნიკ-ყოფილი, ოშკში საბას წინამძღვრობისას მისი წარსაგებელით გადაწერილი და მისივე ანდერძებით შემკული წიგნებით და ასევე მრავალი ბერ-მონაზონით ივირონში დაბრუნებული, ათონელ მონაზონთა წრეში „წმიდა საბას მონასტრის ბერად“ სახელდებულიყო. ამიტომაცაა მოსალოდნელი, რომ ოშკის მონასტრიდან წმინდა საბას წინამძღვრობის დროინდელი ბერის იოვანე-თორნიკეს მიერ ათონის ქართველთა ლავრაში მოტანილი წიგნი ბერძნულ თარგმანში სათაურშივე თვით მთარგმნელისა და ავტორის (ეფთვიმეს) მიერ დასახელებულიყო „პატივდებული და რჩეული კაცის იოვანეს, წმინდა საბას მონასტრის ბერის“ მოტანილად. ასეა იგი მოხსენიებული ბერძნული ბარლაამის თითქმის ყველა ძველ ხელნაწერთა ლემაში (სათაურში):  $\mu\sigma\eta\varsigma\ \tau\omicron\upsilon\ \acute{\alpha}\gamma\iota\omicron\upsilon\ \Sigma\acute{\alpha}\beta\beta\alpha$  [8, გვ. 224-6]. შემდგომში კი ბუნებრივია, ბერძენ და ლათინელ მწიგნობართა ცნობიერებაში „წმინდა საბას მონასტრის ბერი“, საბაწმინდის მონასტრის ბერად აღიქმებოდა ამ განთქმული ლავრის დიდი ცნობადობის გამო. შუა საუკუნეების გადამწერთა და კომენტატორთა მიერ ასევე გადააზრდა ივირონის ქართველი ბერი იოვანე იოანე დამასკელად თუ იოანე სინელად, ასევე ამ უკანასკნელთა დიდი ცნობადობის გამო.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბარლაამ-რომანის ლემა წმინდა ქალაქში ამ წიგნის (თუ ამბის) მომტან იოანეს „წმინდა საბას მონასტრის ბერად“ წარმოადგენს: Ἰωάννου μοναχῶν .... μονῆς τοῦ ἀγίου Σάββα. არის კი ეს სიტყვები ტიპური მითითება იერუსალიმის მახლობლად მდებარე საბაწმინდის განთქმულ სამონასტრო კომპლექსზე? რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების ბერძენ თუ ლათინელ გადამწერლებს, ხოლო შემდგომში ამ მწერლობით დაინტერესებულ მკვლევარებს, ეს სიტყვები საბაწმინდის სახელგანთქმულ კორპორაციაზე მინიშნებად შეეძლოთ მიეჩნიათ. მაგრამ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბარლაამ-რომანის ავტორი, თუ წიგნის მომტანს დიდი და სახელგანთქმული საბას ლავრის ბერად თვლიდა, მას ამგვარად მოიხსენიებდა. საქმე ის არის, რომ V-VI საუკუნეების დიდ პალესტინელ ასკეტს საბას მემკვიდრეობამ „განწმენდილის“ (ἀγιασμένους) სახელი დაუმკვიდრა და ამგვარად მოიხსენიებდნენ მას როგორც შუა საუკუნეებში, ასევე შემდგომშიც. მისი სულიერი სიმაღლის შემამკობელ ეპითეტად როგორც უძველეს წყაროებში, ასევე შემდგომში, უპირატესად „ნეტარი“ (ἅγιος) იყო დამკვიდრებული. ამგვარადაა იგი სახელდებული ქართული თარგმანით შემონახულ უძველეს რედაქციაში კირილე სკვითოპოლელისა „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსი“; და ამავე თხზულების მეტაფრასტულ ბერძნულ რედაქციაში “Βίος καὶ πολιτεία τοῦ ἁγίου πατρὸς ἡμῶν Σάββα” („ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი მამისა ჩუენისა საბასი“). როგორც მისი ცხოვრების ამ უძველეს წყაროში, ასევე დამკვიდრებულ ტრადიციაში, საბას ასკეტურ სამყოფელს (და ასევე მის მზრუნველობაში მყოფ სხვა მათგანსაც) „ლავრა“ (Λαύρα) ეწოდება და არა – მონასტერი. მაშინ, როცა მისი „ცხოვრების“ უძველესი ქართული თარგმანი ასკეტთა სხვა სახლებს უფრო ხშირად „მონასტრებად“ ასახელებს. ამიტომ მოიხსენიება საბაწმინდის უდიდესი სამონასტრო კომპლექსი (Mar Saba) როგორც ძველ, ასევე თანამედროვე ბერძნულ წყაროებში, როგორც „ნეტარი საბა განწმენდილის ლავრა“ – ἡ Λαύρα τοῦ ἁγίου Σάββα ἀγιασμένου (Ἱερὰ Λαύρα τοῦ Ὁσίου Σάββα τοῦ Ἁγιασμένου). ასე რომ, ბარლაამ-რომანის სათაურის (ლემის) გამოჩენილი და პატივდებული კაცი, მონაზონი იოანე არის არა „ნეტარი საბა განწმენდილის ლავრის ბერი“, არამედ ბერი რომელიდაც მონასტრისა, რომლის წინამძღვარი წმინდა საბაა (Ἰωάννου μοναχῶν .... μονῆς τοῦ ἀγίου Σάββα).

დავუბრუნდეთ ეფთვიმე ათონელის შემოქმედებით საქმიანობას. ბერძნული ბალავარის კვლევის ხანგრძლივმა პროცესმა, უპირატესად კი რ. ფოლკის რედაქტორობით გამოვლენილმა მიმართებებმა სვიმეონ ლოლოთეცის მენოლოგიონთან და ი. გროსმანის დაზუსტებამ ამ მიმართების თაობაზე (ბარლაამ-

მის ტექსტი ეყრდნობა *მენოლოგიონს* და არა პირიქით) ახლებურად გამოავლინა წმ. ეფთვიმეს როგორც მწერლისა და მთარგმნელის შემოქმედებითი სტილი და საზოგადოდ მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართული, არამედ თვით ბიზანტიური ლიტერატურის პროცესში. ქ. ჰეგელის შეფასებით, „ეფთვიმეს, აღიარებით იმისა, რომ იგი ამეტაფრასება ურიცხვ ბერძნულ-ქართულ თარგმანებსა და დიდ ქართულ-ბერძნულ თარგმანს, *ბარლაამს*, ნამდვილად შეიძლება ეწოდოს მეტაფრასტი. ...ეფთვიმეს ლიტერატურული სიდიადე გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ათონის მთაზე ქართველთა დაწინაურებულ პოზიციაზე, არამედ ზოგადად ბიზანტიის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე. არა მხოლოდ *ვარლაამ* და *იოასაფი* გახდა ფართოდ აღიარებული ტექსტი, არამედ ჩანს, რომ დიდი იყო ქართველთა ძალისხმევა მეტაფრასტული ტექსტების წარმატებაში“ [17, გვ. 18]. ქართველოლოგთა კვლევებისათვის არაა სიახლე იმის გამოვლენა, რომ *ვარლაამ* და *იოასაფის ისტორია* მეტაფრასტული თხზულებაა. ეს დებულებაჲ კ. კეკელიძის გამოკვლევებიდან იღებს სათავეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი ფიქრობდა, რომ ეფთვიმემ ნამდვილად თარგმნა ქართულიდან ბერძნულად *ბალაგარიანი* და შემდეგ ეს თარგმანი გაამეტაფრასა სავარაუდოდ თვით სვიმეონ ლოლოთეძმა. ევროპელ მკვლევართა დაზუსტებით კი – სვიმეონის რომელიმე მოწაფემ. ჩემი გამოკვლევა „ბერძნული ვარლაამ და იოასაფი – მეტაფრასტული აგიოგრაფიული ძეგლი“ პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა და შემდგომში იმავე სათაურით შევიდა ჩემს ქართულ, რუსულ და ინგლისურ მონოგრაფიებში [20, გვ. 269-279]. მნიშვნელოვანი სიახლეა იმის გამოვლენა, რომ ეფთვიმე ბერძნულ *ბარლაამში* ძალზე ფართოდ იყენებს ცალკეულ ფრაზებს თუ პასაჟებს სვიმეონის მეტაფრასტული *მენოლოგიონიდან*, შესავსებად იმ დებულებებისა თუ ნარატივისა, რაც *ბალაგარიანიდან* ან ბიბლიური თუ პატრისტიკული ლიტერატურიდან მოდიოდა. ჰეგელის შენიშვნით, ეს არის მსგავსება სვიმეონის მეტაფრასტულ სტილთან. სვიმეონიც, პირველადი წყაროს გარდა (რომელსაც იგი გადაამუშავებდა ხოლმე), სხვა მეორეულ ლიტერატურასაც იყენებდა, დამატებითი ინფორმაციით რომ შეევსო ტექსტი. ეფთვიმე კი მეტაფრასტული ტექსტების მონაკვეთებს არა დამატებითი ინფორმაციის მიზნით იყენებს, არამედ უშუალოდ, მზა და სასარგებლო ფრაზებად, რაც აზრის თუ დებულების უფრო ნათლად წარმოჩენას ემსახურება. ამასთან ერთად, ყურადღება იმასაც ექცევა, რომ ეფთვიმე თარგმნის სვიმეონის *მენოლოგიონიდან* ქართულად ძალიან ბევრ მეტაფრასტულ აგიოგრაფიულ ტექსტს. ჰეგელი ასკვნის, რომ ეფთვიმეს ლიტერატურული სტილი მეტაფრასტულია, მაგრამ განსხვავებული სვიმეონ მეტაფრასტის სტილისაგან.

ამიტომაც სვამს იგი კითხვას: შეიძლება თუ არა ეფთვიმესაც ეწოდოს მეტაფრასტი, რაც ნარკვევის სათაურში კითხვითი ნიშნის დართვით ამგვარად გაფორმდა: „ეფთვიმე ათონელი, ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?“ დიახ! როგორც ირკვევა, ეფთვიმეს ლიტერატურული სტილი სვიმეონ მეტაფრასტის ლიტერატურული მოღვაწეობიდან აღმოცენდა. ჩემი აზრით, ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეფთვიმე სვიმეონის ერთი მოწაფეთაგანიცაა და არა მხოლოდ მიმდევარი. ისიც არაა გამორიცხული, რომ იგი (როგორც ბერძნული ენისა და სამეფო ეტიკეტის კარგი მცოდნე) X საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში არცთუ მცირე ხნით ყოფილიყო კონსტანტინოპოლში და ურთიერთობა ჰქონოდა სამეფო კარის დიდ მოხელესთან, სვიმეონ ლოლოთეცთან. ამ დროს სჭირდებოდა ათონის ქართველთა საძმოს სამეფო კართან მჭიდრო კონტაქტი იოვანე-თორნიკესათვის დიდი სამეფო შესაწირავის სათანადო სიგელ-გუჯრების გასაფორმებლად და ივირონის მშენებლობის ნებართვის შესათანხმებლად. ამ ვარაუდს ბიზანტიის სამეფო კარის იმდროინდელი საისტორიო დოკუმენტების კვლევა თუ დაადასტურებს. ამაზე მიახლოებებს ის საოცარი ერთგულება და ძალისხმევა სვიმეონ მეტაფრასტის *მენოლოგიონის* გადასარჩენად, რაც ათონელ მწიგნობრებს გამოუჩენიათ წმ. ეფთვიმეს ეპიტროფობის დროს.

ამავე დროს, ვფიქრობ, არ იქნება მართებული, რომ ეფთვიმე ათონელიც, მსგავსად სვიმეონ ლოლოთეცისა, მეტაფრასტის სახელით მოვიხსენიოთ. საქმე ისაა, რომ ტერმინი მეტაფრასტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა აგიოგრაფიული ჟანრის ერთი მიმართულების სახელწოდებად (კიმენური, მეტაფრასტული, სვინაქსარული). ეფთვიმე თავისი სტილით (კლება-მატების სტილით) არა მხოლოდ აგიოგრაფიულ ტექსტებს თარგმნის ბერძნულიდან, არამედ საზოგადოდ სასულიერო მწერლობის ყველა სხვა დარგის – დოგმატურ, კანონიკურ, ეგზეგეტიკურ... ტექსტებს. ასეა თარგმნილი თუ შექმნილი ეფთვიმესული იოანე დამასკელის *წინამძღვარი*, ასევე *მცირე სჯულისკანონი* და სხვა მრავალი. იგი თარგმანში არა მარტო ამატებს ცნობებსა თუ პასაჟებს სხვა თხზულებიდან, არამედ ამოკლებს მათ და უფრო მეტიც, ხშირად თვითონ განმარტავს ქართველი მკითხველისათვის ცალკეულ დეტალს. ამიტომაც უნდა გავითვალისწინოთ ეფრემ მცირის შეფასებაც: „მამასა ჩუენსა ეფთვიმესა ხელეწიფებოდა კლებაჲცა და შემატებაჲცა“.

სხვა საქმე ისაა, რომ ეფთვიმე ათონელი მეტაფრასტული საქმიანობის გამგრძელებელი და, როგორც გამოვლინდა, სვიმეონ ლოლოთეცის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის დამცველი და გადამრჩენელიც ყოფილა. სვიმე-

ონ ლოლოთეტი მეტაფრასტული საქმიანობა შეწყდა სავარაუდოდ 984 წლისთვის, ბასილი II-ის მბრძანებლობის ხანაში და იგი სამეფო კარს ჩამოშორდა. მისი შექმნილი *მენოლოგიონიც* არ იყო სასულიერო წრეებში სრულად შეწყნარებული. ახალი გამოკვლევა მიუთითებს, რომ სწორედ ათონის მთის და კერძოდ, ივირონის საბერძნობაზნო წრის თავგამოდებით ხდებოდა *მენოლოგიონის* მრავალგზის გადაწერა XI საუკუნის პირველ ათწლეულებში. ეს კი ის წლებია, როცა ათონის მთელი სამონასტრო კორპორაციის სულიერი მოძღვარი, ეპიტროფი, ეფთვიმე ათონელი იყო. მე ვფიქრობ, ეს გარემოება სვიმეონ ლოლოთეტის პიროვნებისადმი ეფთვიმეს პირად ერთგულებასა და პატივისცემაზეც მიანიშნებს. “ჩანს, რომ დიდი იყო ქართველთა ძალისხმევა მეტაფრასტული ტექსტების წარმატებაში. რთულიც კია შევაფასოთ ჭეშმარიტი არსი ივირონის თავდადებისა მეტაფრასტულ აქტივობაში; რაც გამოვლინდა მეტაფრასტული ტექსტების შემცველ ბერძნული ხელნაწერების შექმნაში, მათ ქართულად თარგმნასა და ბარლამაში მათგან ... ჩართვის საშუალებით გავრცელებაში. ეფთვიმე და სხვა ივერიელები, როგორც ჩანს, სათუთად ინახავდნენ ამ ტექსტებს” [17, გვ. 364].

## ბიბლიოგრაფია

1. ბალავარიანის ქართული რედაქციები (ილ. აბულაძის გამოცემა). თბ. 1957.
2. გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ. 1967.
3. იოვანე-თორნიკეს ანდერძი წიგნზე „სამოთხე“: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია I, „მეცნიერება“, თბ. 1986.
4. კეკელიძე კ., „ბალავარიანის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ. 1960.
5. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1960.
6. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია, I), ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., „მეცნიერება“ 1986.
7. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, (შემდგენელი ე. ნიკოლაძე). თბ. 1953.
8. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ. 1973.



9. ცქიტიშვილი თ., თვალთვაძე დ., „იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმე მთაწმიდლისეულ ქართულ თარგმანზე დართული ტექსტისთვის“: *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 30. თბ. 2001, გვ. 95-114.
10. ხინთიბიძე ე., „კიდევ ერთი ახლებური თვალსაზრისი შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის შედევრის - ვარლაამ და იოასაფის ავტორობის საკითხზე“: *მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია)*, თბ. 2003.
11. Beck H. G., *Geschichte der byzantinischen Volksliteratur*, München 1971.
12. Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos. *Revue de l'Orient Chrétien*, XXVIII, 3-4, 1931-32, pp. 289-361.
13. Dölger F., *Der griechische Barlaam-Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos*, Ettal 1953.
14. Grossmann J. K., “Die Abhängigkeit der Vita des Barlaam und Ioasaph von Menologion des Symeon Meraphrastes”: *Jahrbuch Österreichischen Byzantinistik*. 59, 2009, pp.87-94.
15. Høgel C., “The Redaction of Symeon Metaphrastes: Literary aspects of the Metaphrastic martyria”: C. Høgel (ed.) *Metaphrasis: Redactions and Audiences in Middle Byzantine Hagiography*. Oslo: Research Council of Norway, 1996, pp.7-22.
16. Høgel C., *Symeon Metaphrastes: Rewriting and Canonization*. Copenhagen: Museum Tusulanum Press, 2002.
17. Høgel C., “Euthymios the Athonite, Greek-Georgian and Georgian-Greek Translator - and Metaphrast?": *Mélanges Bernard Flusin éd. par A. Binggeli & V. Déroche (travaux et mémoires 23/1)*, Paris 2019, pp. 353-364.
18. Khintibidze E., “New Materials on the Origin of Barlaam and Ioasaph”: *Orientalia Christiana Periodica*, V, 63, II, Roma 1997, pp. 491-501.
19. Khintibidze E., “The Creation of the Byzantine Version of Barlaam and Ioasaph and Christianisation of the Rus”: *XIX International Congress of Byzantine Studies*. Copenhagen 1996. (Theses).
20. Khintibidze E., *Georgian-Byzantine Literary Contacts*, Amsterdam 1996.
21. Khintibidze E., Mount Athos: the origin of the Ediifying Story of Barlaam and Ioasaph and its connection with the Slavonic World: *22nd International Congress of Byzantine Studies*, 2011 Sofia. (Theses).

22. Lang D. M., "Introduction", [St. John Damascene], *Barlaam and Ioasaph Romance* (with an English Translation by the Rev. G. R. Woodward and H. Mattingly. Introduction by D. M. Lang). London, Cambridge, Massachusetts. Harvard University Press, 1967.
23. Lunde, Ingunn, [Review of Hogel's monograph]: *Rhetorical Review* 1,2; October 2003 (<http://www.nnrh.dk/RR/index.html>).
24. Peeters P., "La première traduction latine de *Barlaam et Joasaph* et son original grec": *Analecta Bollandiana*, t. XLIX, Fasc. III et IV, Bruxelles, Paris 1931, pp.276-312.
25. Rabbow P., "Die Legende des Martinian": *WST*, 17, 1895.
26. Ribas A. A., *A construção da lenda de Barlaão e Josafá: Um estudo do processo de elaboração Hagiográfica em Bizâncio (séculos X-XI)*. Dissertation, Federal University of Paraná, 2013.
27. Vasilev A. A., *History of the Byzantine Empire*, v. I. Madison 1958.
28. Volk R., *Die Schriften des Johannes von Damaskos*. 6/1, *Historia animae utilis de Barlaam et loasaph (Spuria)*. Berlin, New York 2009.
29. Volk R., *Die Schriften des Johannes von Damaskos*. 6/2, *Historia animae utilis de Barlaam et loasaph (Spuria). Text und zehn Appendices*. Berlin, New York 2006.
30. Лебедева И. Н., "О древнерусском переводе *Повести о Варлааме и Иоасафе*": *Древнерусские Литературные памятники*, Л. 1979.
31. Лебедева И. Н., "Предисловие": *Повесть о Варлааме и Иоасафе* (Издание И. Н. Лебедевой). Л. 1985.
32. Хинтибидзе Э. Г., "Крещение Руси и шедевр Грузинско-Византийского Литературного Сотрудничества": *Verbum, выпуск 3*, Санкт-Петербург 2000, стр. 142-147.